ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი #47

ქ. თბილისი

23 ივლისი 2019 წ.
11:00 სთ.

გარემოს დაცვის კომისიის წევრები:

ერეკლე კუხიანიძე (სხდომის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, გიორგი დოხტურიშვილი, თარაშ შურღაია, ლევან ხაბეიშვილი;

მოწვეული სტუმრები:

1. გიგა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ეკა ცეცხლაძე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე);

სხდომის დღის წესრიგი:

1."ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის **2019** წლის **22** ივლისის **#12-031920332-03** წერილი ) ოქმს ერთვის;

მომხსენებელი:/ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი -გ.თალაკვაძე/

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი.(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის **2019** წლის **4** ივლისის **#12-031918594-03** წერილი ) ოქმს ერთვის;

   მომხსენებელი:/ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი-გ.გიგაშვილი/

3. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის № 10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

   (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის **2019** წლის **17** ივლისის **#12-031919810-03** წერილი ) ოქმს ერთვის;

   მომხსენებელი:/ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი-გ.გიგაშვილი/

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის **2019** წლის **17** ივლისის **# 12-031919833-03** წერილი )- ოქმს ერთვის;

მომხსენებელი:/ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი-გ.გიგაშვილი/

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის მიზნით გრანტის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის **2019** წლის **11** ივლისის **# 12-031919288-03** წერილი ) ოქმს ერთვის;

მომხსენებელი:/ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი-გ.გიგაშვილი/

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის **2019** წლის **28** ივნისის **#12-031917957-03** წერილი)ოქმს ერთვის;

მომხსენებელი:/ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი -ეკა ცეცხლაძე/

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ი.ხმალაძის **2019** წლის **8** ივლისის **#12-0319189132-03** წერილი ) ოქმს ერთვის;

მომხსენებელი:/ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე/

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის **2019** წლის **16** ივლისის **#12-031919797-03** წერილი ) ოქმს ერთვის;

მომხსენებელი:/ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი -ეკა ცეცხლაძე/

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის **2019** წლის **17** ივლისის **#12-031919895-03** წერილი ) ოქმს ერთვის;

მომხსენებელი:/ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი -ეკა ცეცხლაძე/

10. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 17 ივლისის #12-031919896-03 წერილი ) ოქმს ერთვის;

მომხსენებელი:/ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი -ეკა ცეცხლაძე/

11. მიმდინარე საკითხები.

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 1-ლი საკითხი;

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 22 ივლისის **#12-031920332-03** წერილი );

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან მიქავამ. მან ისაუბრა 2019 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე; როგორც მან აღნიშნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 169 000 (ას სამოცდაცხრა ათასი) ლარით და განისაზღვრება 1 075 270 800 (ერთი მილიარდ სამოცდათხუთმეტი მილიონ ორას სამოცდაათი ათას რვაასი ) ლარით; ასევე, წარმოდგენილი ცვლილების პროექტში ცვლილება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში" სახსრებიდან პროექტის -„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების გარდაქმნა ბუნებრივ ტყეებად" განხორციელებისათვის გრანტის სახით მისაღები 159 400 (ას ორმოცდაცხრამეტი ათას ოთხასი) ლარის ასახვის აუცილებლობასთან. ასევე, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ააიპ „Rockeffeler Philanthropy advisors,Inc-ფონდს" შორის „100 მედეგი ქალაქის" ინიციატივის ფარგლებში გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებაში, რაც ითვალისწინებს 2019 წელს 9 600 (ცხრა ათას ექვსასი) ლარის

მიღებას. ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული ეკონომიების გათვალისწინებით, სულ გადანაწილდა 12 941 900 (თორმეტი მილიონ ცხრაას ორმოცდაერთი ათას ცხრაასი) ლარი.

კომპეტენციიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შემდეგ პროგრამებზე; კერძოდ:

1. გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01) - დაფინანსება მცირდება: 1 579 800 (ერთი მილიონ ხუთას სამოცდაცხრამეტი ათას რვაასი) ლარით. აღნიშნული კლება გამოწვეულია მიმდინარე წელს გამოცხადებული ტენდერებიდან გაწეული ეკონომიით.
2. თბილისის ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) : 700 000 (შვიდასი ათასი) ლარით; აღნიშნული ზრდა განპირობებულია ახალი ბოტანიკური ცენტრის მშენებლობით; (კერძოდ: ლაბორატორია და ადმინისტრაციული შენობა).
3. ცხოველთა მონიტორინგის პროგრამა (კოდი: 09 02) - დაფინანსება იზრდება: 130 000 (ას ოცდაათი ათასი) ლარით, რომლის ფარგლებშიც იგეგმება მედიკამენტებისა და სახარჯი მასალის, მაღლების საკვების, სამაშველო და მორიგე ეკიპაჟებისათვის აღჭურვილობისა და ვიდეო რეგისტრატორების შეძენის ხარჯი, საწვავის შეძენის ხარჯი და სხვა მომსახურეობის შესყიდვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბიუჯეტის პროგრამულ ნაწილს ემატება „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურეობა (კოდი 10 46)- დაფინასების ოდენობა 255 000 (ორას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი. პროგრამა ემსახურება თბილისის მყარი ნარჩენების მართვის მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მყარი ნარჩენების შეგროვების საავტომობილო პარკის განახლება, არსებული მყარი ნარჩენების გადამზიდი სადგურების განახლება და თბილისის მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელზე ნაჟური წყლების სისტემის გაუმჯობესება.

მომხსენებლის მიერ,სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 22 ივლისის **#12-031920332-03** წერილით წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -5

წინააღმდეგი- 0

თავი შეიკავა-1

გარემოს დაცვის კომისიამ დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა: დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2019 წლის 22 ივლისის **№12-031920332-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მე-2 საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი. (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 4 ივლისის **#12-031918594-03**წერილი);

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიგა გიგაშვილმა -

მომხსენებელმა (გ.გიგაშვილი) საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" შესაბამისად, სამოქმედო გეგმის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2019 წლის 11 ივნისს შედგა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის" საჯარო განხილვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომის ფორმატში, გარდა ამისა გამოქვეყნებული იყო სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის; ის შენიშვნები და რეკომენდაციები, მათ შორის საკრებულოში საჯარო განხილვაზე გამოთქმული, ასევე დაინტერესებული პირების მიერ საჯაროდ გაკეთებული რეკომენდაციები მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული გეგმაში.

გ.გიგაშვილმა დეტალურად ისაუბრა მუნიციპალური ნარჩენების გეგმის შემუშავების თაობაზე, მის პრიორიტეტებსა და განხორციელების აუცილებლობაზე - მისი განმარტებით, წარმოდგენილ დოკუმენტს საფუძვლად უდევს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა შორისაც ერთ-ერთია ნარჩენების მართვა (ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანოების განსაზღვრა, ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება ნარჩენების ხუთსაფეხურიანი სისტემის იერარქიის შესაბამისად და აგრეთვე, ნარჩენების პრევენციის პროგრამების შემუშავება, ხარჯების ამოღების მექანიზმის შემოღება პრინციპით „დამაბინძურებელი იხდის", ნაგავსაყრელების კლასიფიკაცია და სხვა.) თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა განსაზღვრავს მომავალი ხუთი წლის (2019 - 2024) განმავლობაში განსახორციელებელ იმ ღონისძიებებს, რომლებიც მყარ საფუძველს შექმნის ნარჩენების მდგრადი და ეფექტიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის. აღნიშნული გეგმა, სრულად შეესაბამება საქართველოს კანონის ,,ნარჩენების

მართვის კოდექსის“ (კოდექსი), „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის პირველი აპრილის N160 დადგენილების მოთხოვნებს. გეგმა მომზადდა, ბოლო წლების განმავლობაში დაგროვებული, დიდი მოცულობის ტექნიკური ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე, არასამთავრობო ორგანიზაცია “CENN”-ის მხარდაჭერითა და “USAID GEORGIA“ პროგრამის ფარგლებში; ერთობლივი კვლევები თვალსაჩინოდ აღწერს თბილისში არსებულ მდგომარეობას ნარჩენების მართვის კუთხით, ასევე პრობლემებს, რომლებიც უნდა გადაიჭრას კოდექსისა და ეროვნული სტრატეგიისა და გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. 2015 წლის 15 იანვარს ძალაში შევიდა კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ინსტიტუციურ პასუხისმგებლობას საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე. კოდექსი, ასევე ადგენს მუნიციპალიტეტების ვალდებულებებს ნარჩენების მართვის ერთიან ეროვნულ ინტეგრირებულ სისტემაში. კოდექსის თანახმად, ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებულია მიიღოს საკუთარ ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა. თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა განსაზღვრავს მომავალი ხუთი წლის (2019-2024 წწ) განმავლობაში განსახორციელებელ იმ ღონისძიებებს, რომლებიც მყარ საფუძველს შექმნის ნარჩენების მდგრადი და ეფექტიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის. გეგმის ფარგლებში განისაზღვრება თბილისში ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, აღდგენისა და განთავსების პროცესების არსებული სტატუსი და საჭირო გაუმჯობესებები.

გეგმის ძირითადი მიზნებია:

- მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის პრევენციის ხელშეწყობა;
- მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა;
- მუნიციპალური ნარჩენების აღდგენის სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და ხელშეწყობა;
- ნარჩენების კონტეინერებთან თბილისის მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- მუნიციპალური ნარჩენების (სეპარირებული და შერეული) შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანობისა და ხარჯთეფექტიანობის გაუმჯობესება;
- დიდი ლილოს ნაგავსაყრელის სისტემების რეაბილიტაცია და უჯრედების დახურვა;
- მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელებიდან მოსალოდნელი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება;
- ნარჩენების მართვის მოსაკრებლის ინსენტივური სისტემის დანერგვა;
- სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენების განთავსების სისტემის მოწესრიგება;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის პროცესის მხარდაჭერა,რომელიც ამოქმედდება 2019 წლის ბოლოდან, ხოლო მოსამზადებელი ღონისძიებები განხორციელდა ნარჩენების მართვის ასოციაციასთან ხელშეკრულების გაფორმების სახით,რომლის ფარგლებშიც, ნარჩენების მართის ასოციაციის წევრი კერძო კომპანიები თავად უზრუნველყოფენ ნარჩენების დახარისხება/სეპარირებას (პლასტმასი,მეტალი,რკინა,მინაქაღალდი და სხვა)გატანას და დამუშავებას;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ამ მიმართულებითაც ხორციელდება შესაბამისი

ღონისძიებები,მათ შორის სტენდების განთავსება დედაქალაქის სხვადასხვა ცენტრალურ უბნებში.

მომხსენებელმა (გ.გიგაშვილი) აღნიშნა, რომ ქალაქში, ძირითადად ცენტრალურ უბნებში განთავსდა სპეციალური ნარჩენების სეპარირებული 50-მდე ურნა.
ამ თემასთან დაკავშირებით კითხვა დასვა -ლ.ხაზეიშვილმა - „როგორ ხდება ამ ურნების დაცლა და ნარჩენების განცალკევება?"

პასუხი : მემორანდუმი და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც არის გაფორმებული ნარჩენების მართვის ასოციაციასთან, ითვალისწინებს მათ მიერ ამ ტერიტორიებიდან სეპარირებული ნარჩენების გატანას და შემდეგ მეორად გადამუშავებას. მან, ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს არის საპილოტე პროგრამა, რომელიც ემსახურება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და რომლის მიზანია მომავალში მთელი სისტემა გადავიდეს მუნიციპალური ნარჩენების სეპარირების სისტემაზე.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა ბიოლოგიური ნარჩენების მართვის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს ასეთი ნარჩენის შეგროვებას და ხელმეორედ გადამუშავებას და გამოყენებას, როგორც პროდუქტად და არა ნარჩენად; ასევე ისაუბრა სტიქიურ ნაგავსაყრელებთან დაკავშირებით, რომლებიც მრავლადაა თბილისის ტერიტორიაზე და აღნიშნა, რომ ეს გეგმა ითვალისწინებს ასეთი ნაგავსაყრელების იდენტიფიცირებას და ნაგავსაყრელის დახურვის გეგმის შემუშავებას. ყურადღება გაამახვილა ლილოს ნაგავსაყრელზე, რომელიც მისი თქმით აუცილებლად უნდა მოვიდეს შესაბამისობაში იმ საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც არსებობს დღეისათვის და ამ კუთხით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა შეკითხვები და წინადადებები არ დაფისქირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 4 ივლისის **#12-031918594-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი-0
თავი შეიკავა -1

გარემოს დაცვის კომისიამ დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა: დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 4 ივლისის **№12-031918594-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ძოისძინეს დღის წესრიგის მე-3 საკითხი-,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის № 10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 17 ივლისის **#12-031919810-03** წერილი );

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიგა გიგაშვილმა - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-11 დადგენილებით განსაზღვრულია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის განყოფილებების ფუნქციები. გამომდინარე იქიდან, რომ მწვანე ლანდშაფტის დაცვის უზრუნველყოფა, ლანდშაფტის დიზაინის დამუშავება და არქიტექტურული პროექტების განხორციელება დებულებით მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილების ფუნქციებს მიეკუთვნება, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული შადრევან-აუზების რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებების განხორციელება შინაარსობრივ თანხვედრაში სწორედ ზემოთ დასახელებულ საქმიანობებთან მოდის, საჭირო გახდა მისი დაკონკრეტება და მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილების ფუნქციებში გაწერა. ზემოაღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა. (ცვლილების განხორციელებამდე, ზემოაღნიშნულ ფუნქციას, აგრეთვე ანხორციელებდა ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურიც) აღნიშნული ცვლილებით გამოირიცხება სამსახურებრივი საქმიანობის დუბლირება ორ სხვადასხვა საქალაქო სამსახურს შორის.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ.თბილისის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 17 ივლისის **#12-031919810-03** წერილი წარმოდგენილი,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო

სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის № 10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი-0
თავი შეიკავა -1

გარემოს დაცვის კომისიამ დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა: დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 17 ივლისის **№12-031919810-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის № 10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის16 იანვრის N10-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტების (სულ 2 პროექტი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

**მოისმინეს დღის წესრიგის მე-4 საკითხი -** ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 17 ივლისის **# 12-031919833-03** წერილი );

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიგა გიგაშვილმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის (მომხსენებელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის N18.8.66 განკარგულებით შეიქმნა „შპს ეკოსერვის ჯგუფი“, რომლის ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს წარმოადგენს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გამწვანებული ტერიტორიების მოწყობა და მოვლა-პატრონობა. „შპს ეკოსერვის ჯგუფის" საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება როგორც მერქნული რესურსი, ასევე ბაღის/პარკის ნარჩენები, რომელიც წარმოადგენს ღირებულ რესურსს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ნარჩენების აღდგენის შემთხვევაში შესაძლებელია სასარგებლო პროდუქტის მიღება (მათ შორის მულჩი, კომპოსტი), რომელსაც მუნიციპალიტეტი გამოიყენებს დედაქალაქის ინტერესებისათვის, საჭირო გახდა აღნიშნული ნარჩენის განკარგვის საკანონმდებლო წესით დარეგულირება.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 17 ივლისის # **12-031919833-03** წერილით წარმოდგენილი ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი-0
თავი შეიკავა -1

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 17 ივლისის №**12-031919833-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მე-5 საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის მიზნით გრანტის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 11 ივლისის # **12-031919288-03** წერილი);

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიგა გიგაშვილმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის უნდა გაფორმდეს საგრანტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, GIZ გამოყოფს გრანტს 159 400 (ას ორმოცდაცხრამეტი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის განხორციელების მიზნით. აღნიშნული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, გამოაცხადებს ტენდერს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად.

პროექტის ფარგლებში უნდა მოხდეს დაახლოებით 20 ჰექტრამდე ხელოვნური, ძირითადად, ფიჭვის სახეობებისგან ფორმირებული, ტყის კორომების გამოვლენა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება, რათა ხელი შეეწყოს ხელოვნური ტყეების გარდაქმნას ბუნებრივი წარმოშობის ტყეებად, რომელიც, თავის მხრივ, რეზისტენტულს გახდის მათ კლიმატის ცვლილებისა თუ სხვა ნეგატიური ფაქტორების მიმართ.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის. კ.კალაძის 2019 წლის 11 ივლისის # **12-031919288-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის მიზნით გრანტის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი-0
თავი შეიკავა -1

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 11 ივლისის №12-031919288-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის მიზნით გრანტის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მე-6 საკითხი : „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 28 ივნისის #**12-031917957-03** წერილი);

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქ-ნმა ეკა ცეცხლაძემ;

მომხსენებლის (ე.ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 ივნისის №19.689.898 განკარგულებით და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №0119115464-67; №01191351883-67; №01191373785-67; №01191362545-67; №01191373352-67; №17-01191582504-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით,წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 6 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

1.განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1“ პუნქტი)- ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნიკო ცხვედაძის ქუჩა №60-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.046.049) მიმდებარედ (ფართობი: 64 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

მომხსენებლის (ე.ცეცხლაძე) მიერ განსახილველ საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად **№0119115464-67 განაცხადით,** მოთხოვნილი ტერიტორია რეალურად წარმოადგენს საავტომობილო გზას და ზონის ცვლილებით მოხდება ფაქტობრივი მდგომარეობის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

2. განმარტებითი ბარათის პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2-ე“ პუნქტი), ქალაქ თბილისში, შუშის ქუჩა №38, ბაღნარის №2ა-ში არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.017.067; ფართობი: 12 280 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ცვლილება ეხება მხოლოდ სატრანსპორტი ზონა 1-ის(ტზ-1)ასახვას.

მომხსენებლის (ე.ცეცხლაძე) მიერ განსახილველ საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად №01191351883-67 განაცხადით „განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის №236 განკარგულების“ შესაბამისად, არსებულ ტერიტორიაზე (ფართობი: 12 280 კვ.მ.) ხდება ხელოსნების ქალაქის განაშენიანება და შესაბამისად დაგეგმარების მიხედვით ცვლილება ეხება მხოლოდ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ასახვას. გარდა ზემოაღნიშნულისა, ცვლილებას ექვემდებარება საპროექტო ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით განსაზღვრული, გამწვანებული ტერიტორიის რუკაზე დატანილი ქვეზონა - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი,შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

3.განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „3-ე“ პუნქტი), ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.027.336) ნაწილზე 202 კვ.მ. ფართობზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

მომხსენებლის (ე.ცეცხლაძე) მიერ განსახილველ საკითხის თაობაზე №01191373785-67 განაცხადით, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად დაინტერესებაში არსებული ტერიტორია კერძო საკუთრებაა და არ წარმოადგენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაწილს, რაც ასევე დასტურდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრნასპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 31 მაისის №01191514096 წერილით. ვინაიდან აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ნაწილის ხარვეზს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ზონის ცვლილებამ მოიცვა არსებული საავტომობილო გზის ლოკალური კონტურის შეკვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.027.336) ნაწილზე და მის მიმდებარედ 396 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება, ასევე, საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება (ფართობი: 502 კვ.მ.) მიზანშეწონილია.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

4.განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „4-ე“ პუნქტი) ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წურწუმიას ქუჩა №53-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.080.036) ნაწილზე (ფართობი: 192 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

მომხსენებლმა (ე.ცეცხლაძე) №01191362545-67 განაცხადით წარმოდგენილი განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით, სატრანსპორტო ზონა გავრცელებულია (გადასულია) კერძო საკუთრებაში რეგისტრირებულ საზღვრებში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რასაც ასევე ადასტურებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 31 მაისის №01191514093 წერილი. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით, გასწორდება ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა არსებულ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

5.განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „5-ე“ პუნქტი) ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, თევდორე მღვდლის ქუჩა №11, №13, №13ა, №13გ, №13დ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.07.021.076, №01.13.07.021.067; №01.13.07.021.075, 01.13.07.021.071, №01.13.07.07.021.068, №01.13.07.021.085, №01.13.07.021.313, №01.13.07.021.113, №01.13.07.021.024, №01.13.07.021.057, საერთო ფართობი: 9 935 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

მომხსენებლის (ე.ცეცხლაძე) მიერ განსახილველ საკითხის თაობაზე №01191373352-67 განაცხადით, წარმოდგენილ საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია კლინიკა - სამკურნალო-დიაგნოსტიკური კომპლექსი, რაც ფუნქციურად პირდაპირ ექვემდებარება სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) მოთხოვნებს.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

6. განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „6-ე“ პუნქტი) ქალაქ თბილისში, თელეთში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.03.12.655) ნაწილზე (ფართობი: 24 288 კვ.მ.) მოთხოვნილია სატყეო ზონის სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება;

მომხსენებლმა - (ე.ცეცხლაძე) **№17-01191582504-67** განაცხადით წარმოდგენილ განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს განაშენიანების კონტურის გარეთ, სასაფლაოს მიჯნაზე (უკანა ფერდზე). ასევე, ცვლილებას ექვემდებარება საპროექტო ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით განსაზღვრული გამწვანებული ტერიტორიის რუკაზე დატანილი ქვეზონა - სატყეო ზონა.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 28 ივნისის **#12-031917957-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01191115464-67; №01191351883-67; №01191373785-67; №01191362545-67; №01191373352-67; №17-01191582504-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5

წინააღმდეგი-0

თავი შეიკავა -1

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 28 ივნისის №12-031917957-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №0119115464-67; №01191351883-67; №01191373785-67; №01191362545-67; №01191373352-67; №17-01191582504-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მე-7 საკითხი : „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ი.ხმალაძის 2019 წლის 8 ივლისის **#12-0319189132-03** წერილი .)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქ-ნმა ეკა ცეცხლაძემ;

მომხსენებლის (ე.ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 3 ივლისის **№19.746.949** განკარგულებით და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - №01191551585-67; №01191134270-67; №0119147798-67; №17-01191753225-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 4 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

1) განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1“ პუნქტი); ქალაქ თბილისში, მესხიშვილის ქუჩა №35-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.17.01.018.016 ცვლილების ფართობი: 7 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.
მომხსენებლის (ე.ცეცხლაძე) მიერ განსახილველ საკითხის თაობაზე **№01191551585-67** განაცხადით წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს, რეალურად, სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფუნქციური ზონის ცვლილებით, გასწორდება ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა არსებულ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან.
წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

2) განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „მე-2“ პუნქტი; ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.024.456, №01.72.14.024.442, №01.72.14.024.114 ცვლილების ფართობი: 131 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.
მომხსენებლის (ე.ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე **№01191134270-67 (№01191703400-67)** განაცხადით, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა ვრცელდება (გადასულია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე. ასევე, ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 22 მაისის №01191423768 წერილის საფუძველზე, საქალაქო სამსახური თანახმაა განხორციელდეს წარმოდგენილ საკადასტრო ერთეულებზე ფუნქციური ზონის ცვლილება. გარდა ზემოაღნიშნულისა, მიზანშეწონილია საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე არსებული ხარვეზი გასწორდეს, ხოლო სატრანსპორტო ზონა მოერგოს არსებულ საავტომობილო გზას, რის საფუძველზეც, ასევე, მოპირდაპირედ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის ნაწილზე

(282 კვ.მ.) არსებული საცხოვრებელი ზონა 1-ს (სზ-1) უნდა შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

3) განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „მე-3" პუნქტი); ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.16.002.018, ცვლილების ფართობი: 9 428 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

მომხსენებლმა (ე.ცეცხლაძე) №0119147798-67 განაცხადით წარმოდგენილ განსახილველი საკითხის თაობაზე განაცხადა, რომ ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.16.002.003, №01.10.16.002.013) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 10 ივნისის №159 განკარგულება ადგენს ფუნქციური ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.16.002.018, ცვლილების ფართობი: 9 428 კვ.მ.) ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

4) განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „მე-4" პუნქტი); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.04.030.042 ფართობი: 3000 კვ.მ.), სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური პ ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

მომხსენებლის (ე.ცეცხლაძე) მიერ მოწოდებული ინფორმაციით №17-01191753225-67 განაცხადით წარმოდგენილ ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ დაგეგმილია პრობლემური ტერიტორიის (საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების - საკადასტრო კოდი: №01.10.16.004.222; №01.10.16.004.223) მონაცვლეობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით (საკდასტრო კოდი: №01.14.04.030.042). ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 26 ივნისის №18-0119177348 წერილის საფუძველზე, საქალაქო სამსახური თანხმაა, განხორციელდეს ადგილმონაცვლეობა საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების სასიცოცხლო ფუნქციის შენარჩუნების პირობით. გარდა ზემოაღნიშნულისა, ცვლილებას ექვემდებარება №01.14.04.030.042 საკადასტრო ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის №39-18 დადგენილებით განსაზღვრული გამწვანებული ტერიტორიის რუკაზე დატანილი ქვეზონაც - სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ი.ხმალაძის 2019 წლის 8 ივლისის **#12-0319189132-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01191551585-67; №01191134270-67; №0119147798-67; №17-01191753225-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5

წინააღმდეგი-0

თავი შეიკავა -1

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ **გადაწყვიტა: დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ხმალაძის მიერ 2019 წლის 8 ივლისის **№12-0319189132-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01191551585-67; №01191134270-67; №0119147798-67; №17-01191753225-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მე-8 საკითხი: „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 16 ივლისის **#12-031919797-03** წერილი.)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქ-ნმა ეკა ცეცხლაძემ;

მომხსენებლის (ე.ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის №19.766.979 განკარგულებით და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით ((სულ: 4 წინადადება - №17-01191553271-67, №01191723728-67,(01191141401-67) №01191563005-67, №039-0119183805));

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით,წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 4 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

1) განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1-ლი" პუნქტი); ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ალუბლის ქუჩა #1-ში არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე (ს/კ #01.20.01.093.168# 01.20.01.093.163;# 01.20.01.093.162; #01.20.01.093.139; ცვლილების ფართი 300კვ.მ)მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1 -ის (ტზ - 1 ) საცხოვრებელი ზონა 1 -ით (სზ 1) ცვლილება;

მომხსენებლმა (ე.ცეცხლაძე) №17-01191553271-67 განაცხადით წარმოდგენილ განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 - ის (ტზ 1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე თანდართული რუკის ხარვეზს. ფაქტობრივი მდგომარეობით, სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და არსებული მდგომარეობით საკადასტრო ერთეულები არ

წარმოადგენენ გზის ფუნქციით დატვირთულ მიწის ნაკვეთს, შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური თანახმაა ფუნქციური ზონის ცვლილებაზე, რასაც ადასტურებს 2019 წლის 19 აპრილის # 16-01191091025 წერილით.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

2. განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „მე-2" პუნქტი); ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში (ნაკვეთი 003/001; ნაკვეთი 003/006) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ #01.10.07.003.543; #01.10.07.003.756; #01.10.07.003.355;# 01.10.07.003.373; ცვლილების ფართობი 6502 კვ.მ); მოთხოვნილია განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება.
მომხსენებლმა **№01191723728-67 (01191141401-67)** განაცხადით, წარმოდგენილ განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 15 მაისის #1047 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში დიდი დიღმის რაიონში (ნაკვეთი 003/001; ნაკვეთი 003/006) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ #01.10.07.003.543, # 01.10.07.003.756, # 01.10.07.003.355, # 01.10.07.003.373; ცვლილების ფართობი 66502 კვ.მ); მოთხოვნილი განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

3.განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „მე-3" პუნქტი); ქალაქ თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე სერგეი ლაზოს მიმდებარედ ლაზოს ქუჩა #1-ში არსებული მიწის ნაკვეთზე(ს/კ: #01.11.04.019.296; ცვლილების ფართობი 200კვ.მ) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება;

მომხსენებლმა **№01191563005-67** განაცხადით, წარმოდგენილი განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით ტერიტორია წარმოადგენს კერძო საკუთრებას და განვითარებულია საწარმოო/სამრეწველო ობიექტებით, ასევე ფოტოფიქსაციით ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მწვანე ნარგავები, რასაც ადასტურებს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019

წლის 24 ივნისის # 01191753498 წერილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სერგეი ლაზოს მიმდებარედ, ლაზოს ქუჩა #1-ში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.11.04.019.296; ცვლილების ფართობი 200კვ.მ) მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ 2) სამრეწველო ზონა 1 -ით (ს1) ცვლილება მიზანშეწონილია.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

4.განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „მე-4" პუნქტი) ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში ზემო ფონიჭალის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე (ს/კ #01.18.13.037.075 და #01.18.13.037.076); 13067 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ 1) სარეკრეაციო ზონა 1- ის (სზ1) და საცხოვრებელი ზონა 6 -ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

მომხსენებლმა №039-0119183805 განაცხადით,წარმოდგენილი განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა,რომ ზემოხსენებული დასახლებისათვის დაგეგმილია რაგბის მოედნის მოწყობა, რომელიც შექმნის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების ხელსაყრელ პირობებს ქალაქისათვის.ზონის ცვლილების შესაძლებლობას ადასტურებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი საქალაქო სამსახურები. (ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 02.07.2019 წლის #16-01191833745 და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 02.07.2019 წლის #18-01191833665 წერილები); ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში ზემო ფონიჭალის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე (ს/კ #01.18.13.037.075 და # 01.18.13.037.076); 13067 კვ.მ ფართობზე ცვლილება მიზანშეწონილია.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 16 ივლისის **#12-031919797-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის ((სულ: 4 წინადადება - №17-01191553271-67, №01191723728-67,(01191141401-67) №01191563005-67, №039-0119183805)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5

წინააღმდეგი-0

თავი შეიკავა -1

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 16 ივლისის წერილით №12-031919797-03 წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №17-01191553271-67; №01191723728-67;(01191141401-67); №01191563005-67; №039-0119183805;)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მე-9 საკითხი: „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 17 ივლისის #**12-031919895-03** წერილი .)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქ-ნმა ეკა ცეცხლაძემ;

მომხსენებლის (ე.ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №19.779.1032 განკარგულებით და დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №01191903212-67; №01191513929-67; №01191401681-67; №0119184844-67; №01191327-67;)

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 5 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

1).განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1-ლი“ პუნქტი) ქალაქ თბილისში, კრწანისის შეს. N17-ში, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N01.18.06.012.128, N01.18.06.012.129 N01.18.06.012.130; N01.18.06.012.131; N01.18.06.012.132; N01.18.06.012.133; საერთო ფართობი 21 704 კვ.მ ) მოთხოვნილია ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 5 -ით (სზ-5) ცვლილება.

მომხსენებლმა №01191903212-67 განაცხადით, წარმოდგენილი განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 02 მარტის N 56 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ქალაქ თბილისში, კრწანისის შეს. N17-ში, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N01.18.06.012.128, N01.18.06.012.129 N01.18.06.012.130; N01.18.06.012.131; N01.18.06.012.132; N01.18.06.012.133; საერთო ფართობი 21 704 კვ.მ ) ზოგადი საცხოვრებელი ზონის (ზსზ) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5)ცვლილება მისაღებია.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

2.განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „მე-2“ პუნქტი) ქალაქ თბილისში, ბარისახოს ქუჩა N11ᵇ-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ს/კ: N01.11.01.017.161; ფართობი 180 კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ- 2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეც ზ1) ცვლილება.

მომხსენებლმა №01191513929-67 განაცხადით, წარმოდგენილი განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ბარისახოს ქუჩა N11ᵇ-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ს/კ: N01.11.01.017.161; ფართობი 180 კვ.მ) საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ 2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეც 1) ცვლილება მიზანშეწონილია.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

3.განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი ( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „მე-3" ) ქალაქ თბილისში, გორგასლის ქ. N42-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.18.09.005.041, ფართობი 2441 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ 1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

მომხსენებლმა №01191401681-67 განაცხადით, წარმოდგენილი განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 6 ივნისის N01191573572 წერილის მიხედვით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნებით, ვინაიდან ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კერძო საკუთრებას, ფაქტობრივი მდგომარეობით, მასზე განთავსებულია ავტოსერვისი და წარმოდგენილი ფოტოფიქსაციიდან ფიქსირდება, რომ ტერიტორიის დიდ ნაწილზე არ არის მწვანე ნარგავები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, გორგასლის ქ. N42-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.18.09.005.041, ფართობი 2441 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ - 2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მიზანშეწონილია.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

4.განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „მე-4" პუნქტი) ქალაქ თბილისში, ბეთანია 2-ის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთის (ს.კ : N 81.01.08.955) ნაწილზე (ფართობი 295 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ- 1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ -1) ცვლილება.

მომხსენებლმა №0119184844-67 განაცხადით, წარმოდგენილი განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა,რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის მიხედვით, სატრანსპორტო ზონა შეჭრილია საკადასტრო საზღვრებში და არ წარმოადგენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაწილს, რასაც ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 8 ივლისის N01191893708 წერილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ბეთანია 2-ის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთის (ს.კ:N81.01.08.955) ნაწილზე (ფართობი 295 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ- 1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ -1) ცვლილება მიზანშეწონილია.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

5.განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „მე-5“ პუნქტი) ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ: N 01.72.14.006.685; N 01.72.14.006.684; N01.72.14.098.021; N01.72.14.006.586; N01.72.14.006.593; N01.72.14.006.595; N01.72.14.006.596;N 01.72.14.006.584; N01.72.14.006.585; საერთო ფართობი 99 107 კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატყეო ზონის (სატყეო) სარეკრეაციო ზონის (რზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ -1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით(სზ-3), სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად (2013 წლის 1-ლი მარტის N333 განკარგულება).
მომხსენებლის მიერ, სხდომაზე აღინიშნა, რომ **№01191327-67 განაცხადით,** წარმოდგენილი განსახილველი საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №19.779.1032 განკარგულების როგორც სამოტივაციო (დადგენილებითი) ნაწილის, ასევე გადაწყვეტილებითი ნაწილის „ე“ პუნქტში ფუნქციური ზონის საერთო ფართობის (99 107 კვ.მ) მითითებისას დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, რაც საჭიროებს გასწორებას.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) გადადებული იქნას - №01191327-67 განაცხადით, წარმოდგენილი განსახილველი საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №19.779.1032 განკარგულების, როგორც სამოტივაციო (დადგენილებითი) ნაწილის, ასევე გადაწყვეტილებითი ნაწილის „ე“ პუნქტში ფუნქციური ზონის საერთო ფართობის (99 107 კვ.მ) მითითებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებამდე;

2. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 17 ივლისის **#12-031919895-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01191903212-67; №01191513929-67; №01191401681-67; №0119184844-67;) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5

წინააღმდეგი-0

თავი შეიკავა -1

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობამ გადაწყვიტა:

1.გადადებული იქნას №01191327-67 განაცხადით წარმოდგენილი წინადადება/საკითხის( განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი) განხილვა მთავრობის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ტექნიკური შეცდომის გასწორებამდე.

2.დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 17 ივლისის წერილით №12-031919895-03 წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01191903212-67; №01191513929-67; №01191401681-67; №0119184844-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მე-10 საკითხი: „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 17 ივლისის **#12-031919896-03** წერილი )

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქ-ნმა ეკა ცეცხლაძემ;

მომხსენებლის (ე.ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში -

რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის №19.758.994 განკარგულებით და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება N01191833764-67; N01191212659-67; N01191761894-67;)

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 3 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

1. განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი ( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1-ლი" პუნქტი) ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში,ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N22 ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.05.008.090; ფართობი 3715 კვ.მ) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

მომხსენებლმა **N01191833764-67 განაცხადით წარმოდგენილი** განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით, აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულია შენობა ნაგებობები და არ წარმოადგენს რეკრეაციულ სივრცეს. აქედან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N22 ა -ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.05.008.090; ფართობი 3715 კვ.მ) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მიზანშეწონილია.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

2. განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „მე-2" პუნქტი) ქალაქ თბილისში ბავშვთა ქალაქ „მზიურის" მიმდებარედ ნაკვეთი N05/179 ქალაქი თბილისი, ჭაჭავაძის გამზირი I ჩიხის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი,ჭაჭავაძის გამზირი I ჩიხის მიმდებარედ ნაკვეთი N05/175 არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.14.005.275; ფართობი 2110 კვ.მ); მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სარეკრეაციო ზონა 3-ით(რზ-3) ცვლილება.

მომხსენებლმა **N01191212659-67 განაცხადით წარმოდგენილი** განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ტერიტორია ემიჯნება საცხოვრებელი ზონა 6-ის(სზ-6) არეალს. იგეგმება ტერიტორიის პრივატიზება მასზე საგამოფენო სივრცის მოწყობის მიზნით, შესაბამისად

ქალაქი თბილისი,ჭაჭავაძის გამზირი I ჩიხის მიმდებარედ ნაკვეთი N05/175 არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.14.005.275; ფართობი 2110 კვ.მ) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სარეკრეაციო ზონა 3-ით(რზ-3) ცვლილება მიზანშეწონილია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2);

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

3. განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი( ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „მე-3" პუნქტი) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N01.20.01.138.126; N01.20.01.138.130; N01.20.01.138.129; საერთო ფართობი 8425 კვ.მ) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ -1) სარეკრეაციო ზონა -2-ით (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა -1-ით (ტზ-1) ცვლილება;

მომხსენებლმა **N01191761894-67 განაცხადით წარმოდგენილი** განსახილველი საკითხის თაობაზე აღნიშნა,რომ ფაქტობრივი მდგომარეობით ტერიტორიაზე გავრცელებული სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) არ შეესაბამება განაშენიანების ხასიათს, ამასთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2019 წლის 2 ივლისის N01191832467 წერილით არ გამორიცხავს ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარებას, შესაბამისი რეკომენდაციით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ -1) სარეკრეაციო ზონა -2-ით(რზ-2) და სატრანსპორტო ზონა -1-ით (ტზ-1) ცვლილება მიზანშეწონილია.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2019 წლის 17 ივლისის **#12-031919896-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება -N01191833764-67; N01191212659-67; N01191761894-67;) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5

წინააღმდეგი-0

თავი შეიკავა -1

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ **გადაწყვიტა:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 17 ივლისის **№ 12-031919896-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - N01191833764-67; N01191212659-67; N01191761894-67;) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე